

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოლოგიის დეპარტამენტი

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 13

რეზო ვეკუა

rezo.vekua2945@ens.tsu.edu.ge

პლუტონური ქანების პეტროქიმიური და გეოქიმიური კვლევის მეთოდები ლოქის კრისტალური მასივის ალპურამდელი გრანიტოიდებისა და კვარციანი დიორიტების მაგალითზე

დღეისთვის, მეცნიერების სწრაფი პროგრესის პირობებში ქანების შედგენილობის კვლევის უამრავი მეთოდი არსებობს, მათ შორისაა პეტროქიმიური და გეოქიმიური კვლევის მეთოდებიც. პეტროქიმიური და გეოქიმიური კვლევის მეთოდები აერთიანებს ქანების ანალიზურ კვლევას სხვადასხვა მეთოდისა და ხელსაწყოს გამოყენებით. იგულისხმება ქანების ოქსიდების სახით გამოხატული შემადგენელი კომპონენტების, ზოგადი ქიმიური მახასიათებლების, მათი საშუალო შედგენილობის განსაზღვრა, გადათვლების მეთოდების შერჩევა, აგრეთვე ქანების ქიმიური შედგენლობის მონაცემების დატანა სხვადასხვა დიაგრამაზე (ვარიაციური, ფიგურული, წერტილოვანი, სამკუთხა და ა.შ.). სხვადასხვა დიაგრამას აქვს განსხვავებული მნიშვნელობა ქანების პეტროლოგიური ანალიზისთვის. მაგრამ, ყველა მეთოდს აქვს ერთი მთავარი მიზანი - მოხდეს ქანების ქიმიური შედგენლობის უკეთესად შეჯერება და ინტერპრეტაცია, იმასთან შედარებით, ვიდრე ეს შესაძლებელია ანალიზის შედეგად მიღებული მხოლოდ ციფრული მონაცემების გამოყენებით. წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია პეტროქიმიური და გეოქიმიური კვლევა ლოქის კრისტალური მასივის ალპურამდელი კვარც-დიორიტებისა და გრანიტოიდების მაგალითზე.